

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი №9

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2018 წლის 21 სექტემბერს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:40 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - თათია ჯინჯოლავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ზურაბი აფაქიძე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ბესიკი ნარმანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ავ. ფოცხვერია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუშია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს მოადგილე - ლევანი გაბელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენადი ხუხუნი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა მირცხულავა; საკრებულოს წევრები: თამარი სალაყაია; შაქრო კოკია; მათა ადამია; ზურაბი სანაია; დინარა ხარბედია; როზმანი ქამადაძე; მალხაზი ტორჩინავა; იური ქორიძე; დათო ადამია; ელისო ცაგურია; ნიკოლოზ შამათავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: ს. მორგოშია, ჯ. ჩოჩია. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი.

დ დ ის წ ე ს რ ი გ ი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ვ. რუსია

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თვმჯდომარე: კ. რუსია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი და ასევე აღნიშნა, რომ ინიცირების წესით დღის წესრიგს მიზანშეწონილია დაემატოს მესამე საკითხი: „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ამდენად საკრებულოს სხდომას დღის წესრიგი წარედგინა დასამტკიცებლად შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თვმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თვმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

4. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თვმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0;)სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის, განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში (წ/წ.მატსნე.გოვ.გე; 29/04/2015; სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.108.016226) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის:

ა) მე- 3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელნი არიან მშენებარე ობიექტების მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებთაც სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სჭირდებათ მშენებლობის ნებართვა.“.

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვროს ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში 2 (ორი) ლარის ოდენობით, სოფლების ადმინისტრაციულ ერთეულებში 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის - 5(ხუთი) ლარის ოდენობით.

ბ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

გ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს II კლასის ობიექტებისათვის 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, III კლასის ობიექტებისათვის - 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო IV კლასის ობიექტებისათვის - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თვმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე” სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს №39 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ სენაკის მუნიციპალიტეტის ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №44.11.24.011, შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემის მიზნით.“

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს საპატრიარქოს.

3.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი,რუსთაველის ქ.№247).

მოისმინეს: 3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თემჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ”.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 4. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს №41 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.“

2. გამოცემული განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი:

მანანა სიორდია